საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 40 კაპ.

ფელიეტონი კირველი

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 9 შაბათი, 3 აგვისტო 1918 წ. № 9

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

საველდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—182.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

№ 1.

22 ივლისი, 1918 წ. ქ. თბილისის. საქართველოს ჯარების საველე შტაბი სამხედრო მოსამსახურეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 22 სამხედრო გიმნაზიაში (კადეტთა კორპუსის ყოფილი სასწავლებელი) გაიხსნა ქართული ენის ორ-თვიანი კურსები (წერა—კითხვა, საქართველოს ისტორია და ლიტერატურა) გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით. კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველდღე 7—9 საათამდე სამხედრო გიმნაზიის შენობაში, კურსების გამგესთან პოდპორ. ბ. ლეფევასთან.

გადასახადი სულ 100 მანეთია, აქედან 50 მან. შეტანილი უნდა იქნეს ჩაწერისთანავე, 25 მან. 1 აგვისტოს და 25 მან. 20 აგვისტოს.

ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის ჯარებისშტაბის მორიგი გენერალი პოლკოვნიკი ქაქაბაძე. 5—5.

ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათა (სააქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საერთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შენ სეფილ-გამესესხებელი ამხანაგობები, დიმბარდები და სხვ), რომელნიც იმეორებენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის **1** ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ ა ფ ხ ა ზ ი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950/234.

საქართველოს რესპუბლიკის

მხედრობის მომარაგების უფროსის საამართველოს სანტენდანტო ნაწილი,

თანახმად მხედრობის მომარაგების უფროსისა, ამით აცხადებს, რომ 11 აგვისტოს 1917 წ., დღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თბილისის მეორე სასურსათო მაღაზიის ეზოში (რკინის გზის ღობედაგის ახლო, დდუბეში) გასასყიდათ სხვა-და-სხვა ზომის კუთებისა, კასრების (ბოჩკების) და რკინის ბიტონებისა. გაყიდვა მოხდება კარგი ყუთებისა და ბოჩკებისა სათითაოდ, მხოლოდ დანარჩენისა კუბიკური საფონთან, ბიტონებისა კი თვლით, თითოულობით. გადარჩენა ყუთებისა, დადგმა საკენებათ და ბიტონების რაოდენობის გამორკვევა, საველდებულოა მყიდველთა ხარჯზე. ყიდვის დროს უნდა გადიხადოს მყიდველმა ნახევარი ღირებულება ნასყიდი მასალისა. საჯარო ვაჭრობის შემდეგ მყიდველს მიეცემა ერთი თვის ვადა. ამ ვადის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად დამზადებისამებრ და ანგარიშის გასწორებისა, მიეცემა მყიდველს გადატანის უფლება მაღაზიის ეზოდან. ქალაქში თავისუფალად გასატარებლად მყიდველს მიეცემა განსაკუთრებითი მოწმობა სანტენდანტო ნაწილიდან. ხის მასალა, რომელიც დანიშნულია გასასყიდათ გამოდგება ხილის ყუთების და ბოჩკების გასაკეთებლად, უკარგისი კი შეშებად. ბიტონები მოიხმარება სახლში სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის. მსურველთათვის ყველა საჯარო ვაჭრობაზე გასასყიდ ნივთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე დიღის 10 ს. საღამოს 6 ს. ადგილობრივ მაღაზიის ზედამხედველის ნებართვით. 3—2

ოფიციალური განკოფილება

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს:

31 ივლისი, 1918 წ.

№ 20.

ინიშნებიან: ბათომის ოლქის საერობო აგრონომი გიორგი სიმონის ძე გამხარაშვილი და მიწათმოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ ბიუროს მმართველის თანაშემწე ევგენი ოსსების ძე ვაწაძე მიწათმოქმედების სამინისტროს უმცროს აგრონომებათ.

თანამდებობიდან დათხოვნილი არიან: მეეხახეთა და მეღვინეთა თბილისის კომიტეტის აგენტები ა. ბ. ცაკარული, ვ. ქ. გაზეულია და ე. ბ. ქაკულია, ამა წლის 1 მაისიდან. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ინსტრუქტორი, ოსუოგეთში ჩაის ქარხნის მმართველი, ა. პ. სამარაისი 15 ივლისიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

დათხოვნილი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ლორის (ობ. გუბ.) ტყის საქმეთა გამგე ელადისლავ სტანისლავის ძე უზებლო ამა წლის 1 აგვისტოდან თანახმათ მისი თხოვნისა.

ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე ვ. ი. ჩერნოვი, რომელიც მიწათმოქმედების და სახელმწიფო საქმეთა თბილისის სამმართველოს განკარგულებაში იყოს 1 აგვისტოდან 1918 წ. თანახმად მისი თხოვნისა.

1 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი,

განთავისუფლებულია: ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი მიხეილ ივანის ძე ბადოძე მიწათ-მოქმედების მინისტრის კანცელარიის გამგის თანამდებობიდან ამა წლის 31 ივლისსიდან თანახმად მისი თხოვნისა.

ინიშნება: იურისტი გიორგი სტეფანეს ძე ბერიძე მიწათ მოქმედების მინისტრის კანცელარიის გამგის თანაშემწეთ. 1 აგვისტოდან 1918 წ.

1 აგვისტო, 1918 წ.

№ 22.

გადაყვანილია: ალაზანს იქეთ მდებარე ტყის საქმეთა მე-II ხარისხის გამგე სალარიძე ბორჯომის მამულის ტყის საქმეთა გამგეთ, 1 აგვისტოდან 1918 წ.

მიწათ - მოქმედების მინისტრის მაგიერ პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის შრომის სამინისტროსი.

25 ივლისი, 1918 წ.

№ 1.

ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარი გ. ფალავა თანახმად თხოვნისა დათხოვნილი სამსახურიდან 25 ივლისიდან.

ბრძანება

25 ივლისი, 1918 წ.

№ 2.

ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარის გ. ფალავას თანამდებობიდან განთავისუფლების გამო მის თანამდებობას დროებით შეასრულებს ქუთაისის შრომის კომისარიატის მდივანი ვ. ურუშაძე.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე.

შრომის სამინისტროს მდივანი პ. დოლიძე.

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

აგვისტო 1918 წ.

დანიშნულია კოსტანტინე ბეკენის ძე სამხატვრაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. რამიშვილი.

მთავრობის საქმეთა მმართველის მაგიერ მისი თანაშემწე ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე.

შესწორება:

„გაზეთი“ „საქ. რესპუბ.“ მეხუთე ნომერში გამოცხადებული იყო ბრძანება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა 20 ამა ივლისიდან №-ით 1, შესახებ მოხელეთა დანიშვნისა და დათხოვნისა საბაჟო უწყებაში, პირველი გვერდის მეოთხე სვეტზე, მე-17 და 48 ადგილზე სტრიქონებში დაშვებულია შემდეგი შეცდომები:

მე-17 და შემდეგ სტრიქონებში სწორია: „ინიშნებიან მთავარ საბაჟოში: ჯუბარაილის საბაჟოს კანცელარიის მოხელე გიორგი ნიკოლოზის-ძე სიხარულიძე და ამავე ინსპექციის კანცელარიის მოხელე ხაჭარია ნიკოლოზის ძე თუმანარაშვილი—სამთავე უმცროსს თანაშემწედ მიეინისა“.

მე-48 და შემდეგ სტრიქონებში სწორია: „ინიშნებიან ფოთის საბაჟოში: ბათუმის საბაჟოს კანცელარიის მოხელე ალექსანდრე ნესტორის ძე მგელაძე—ბუღალტრად“.

უნდა იყოს: ინიშნებიან ფოთის საბაჟოში: ბათუმის საბაჟოს კანცელარიის მოხელე ალექსანდრე სიმონის ძე ბაბუნაშვილი—ხაზინადრად, ბათუმის საბაჟოს გამგე ალექსანდრე ნესტორის ძე მგელაძე—ბუღალტრად.

დრ. აღმასრულებელი მთავარ საბაჟოს გამგის თანამდებობისა ლ. ქ ი ქ ო ძ ე.

მდივანი ი. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე.

არა ოფიციალური განკოფილება

თბილისი, 3 აგვისტო.

ბალშევიკებმა სოციალიზმი ვერ დაამყარეს, მაგრამ სამაგიეროთ თვით რუსეთი, როგორც სახელმწიფო, სრულიად გახრწნეს და დაანგრიეს.

მალე ერთი წელი გახდება მას შემდეგ, რაც მათ თავის პოლიტიკური დიქტატურა გამოაცხადეს და ამ ხნის განმავლობაში არ ეოფილა არც ერთი ნაბიჯი მათ მიერ გადადგმული, რომელსაც ოდნავ მაინც გაემაგრებინოს და განმტკიცებინოს რუსეთის ობიექტიური მისწრაფება დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნისადმი.

მათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს დემოკრატიას. ისინი სისხლის მორევში ალრჩობენ ერების უფლებას, მათ ლტოლვილებას თვითგამორკვევისადმი. და ამნაირათ მოეკლინენ ქვეყანას, როგორც დამპყრობნი და გამანადგურებელნი დემოკრატიის და თავისუფლების.

ბალშევიკებმა და მათმა ამყოლებმა ყველაფერი ჰქნეს რეაქციის ბატონობის აღსადგენად, ყველაფერი მოიმოქმედეს ნაციონალური ბრძოლის საშინელების დასაჩქარებლად და პატარა ერთა და რუსეთის ერთი-ერთმანეთისაგან ჩამოსაშორებლად.

მათ კავკასიაში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში გადმოიტანეს თავის გამათახსირებელი აგიტაცია და სამარცხვინო ბრძოლის წესები. მოიწადინეს შეერაზმე

ვოლიუცია სასურველ მიზანს ვერ მიაღწევსო. ეს უხარიან მათ, ვისაც ისე ეშინიან წითელ ფერის, როგორც ერთ ცხოველს.

თავმჯდომარე. კამათი გათავებული გახლავთ. სხტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

კ. საბახტარაშვილი. (ს.დ.) აქ საკმაოდ ილაპარაკეს კანონ-პროექტის შესახებ. თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთების სიტყვა-რომელიც აქედან წარმოითქვა, სრულებით არ შეეხებოდა კანონპროექტს. მე კონკრეტიულად შეეხები იმ შენიშვრებს, რომელიც შეეხებოდა კანონ-პროექტს.

გაბაშვილი შეეხო კანონპროექტის სათაურს და ასეთი შენიშვრებაა: (კითხულობს) წინააღმდეგ წესწყობილების (ეეღარ არჩევს).

გ ბ ა ბ შ ვ ი ლ ი. მომეცით ნება წავიკითხო.

საბ ახ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი. (ბანაგრძობს) წინააღმდეგ წესწყობილების დამრღვევ ელემენტებთან—მეორნი ასეა. გაბაშვილი მოითხოვს საგანგებო რაზმის დაარსებას. წესწყობილების დამარღვევ ელემენტებთან საბრძოლველად. მე მგონია, რომ წესწყობილების დამრღვევ ელემენტებთან საბრძოლველად საგანგებო რაზმის დაარსება ზედმეტია, რადგან მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ გვყავს მილიცია.

აქ ნათლად არის აღნიშნული 3 ტიპი ბოროტმოქმედებისა; კონტრ-რევოლუციონ, სპეკულიაციონ და ცარცვა გლეჯა. ღღეს სწოდედ ამ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. ამ კანონპროექტში ეს ნათლად არის აღნიშნული.

ხოლო თუ სათაური შეუცვალეთ ისე, როგორც აქ არის შემოტანილი, მაშინ ეს ნათლად ალარ იქნება ნათქვამი. აქ ლაპარაკობდნენ არა ჩვეულებრივ ინსტრუქციაზე. ინსტრუქციის შედგენა მთავრობის საქმეა და არა პარლამენტის. ეს საქმე საკანონმდებლო მთავრობას. თუ მთავრობამ ისეთ საშუალებებს მიმართა, რომ მის ნაბიჯებს ცუდი შედეგები მოჰყვა, მაშინ გაბაშვილს შეუძლიან შეკითხვით შემოვიდეს. მაგრამ უნდა თქვას, რომ კარგ ამსრულებელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამ კანონ-პროექტის მიღება კი აუცილებელია.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე.

აქ მოითხოვენ რომ ცვლილება იქნეს შეტანილი სათაურში. აქ სამ ტერმინის სპეკულიაციის, ცარცვა გლეჯის და კონტრეფოლიუციის მაგიერ აბაშს წევრი გაბაშვილი მოითხოვს, რომ შეტანილი იყოს ერთი ტერმინი: „სახელმწიფო წესწყობილების დამარღვეველ ელემენტებთან-საბრძოლველად“. ასეთი ცვლილება შემოაქვს საბჭოს წევრს გაბაშვილს. ენ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე წინადადება უარყოფილია. ახლა კენჭს ეყრით. კანონ-პროექტს მუხლობრივ ვის ნებავს სიტყვა I მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი?. მაშასადამე პირველი მუხლი მიღებულია. ვის ნებავს სიტყვა მეორე მუხლის შესახებ. ვინ არის წინააღმდეგი? მეორე მუხლი მიღებულია.

რ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მე მაქვს მუხლში შესწორება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მე თქვენი შესწორება კარგად ვახსოვს, მაგრამ მე მგონია, რომ შესწორება მესამე მუხლს ეკუთვნოდა; მართლაც თქვენი წინადადება ახალ ინსტრუქციის შემუშავების შესახებ (კითხულობს შესწორებას) მეორე მუხლს ეკუთვნის. ეხლა კენჭს ეყრით თქვენს წინადადებას. ვინაა წინააღმდეგი ამ ცვლილებისა? თქვენი წინადადება აუარყოფილია.

ვინაა წინააღმდეგი რომ ეს მუხლი დარჩეს, ისე როგორც არის კანონ-პროექტში? უცვლელად დარჩება. ვინაა წინააღმდეგი მესამე მუხლისა? მესამე მუხლი მიღებულია.

ახლა მთელ კანონ-პროექტს ეყრი კენჭს. ვინაა წინააღმდეგი? ამ რიგად კანონ-პროექტი მიღებული გახლავთ და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

დ. თ ო ფ უ რ ი ძ ე (ს.-დ.) შინაგან საქმეთა სამინისტროს ასეთი შტატები დაადგინა (კითხულობს).

ა რ ს ნ ი ძ ე. რეგლამენტ დაირღვა. გთხოთ სიტყვა. ჩვენ მიერ მიღებულ რეგლამენტით კრება უნდა იწყობოდეს 11 საათზე და 3 საათამდის უნდა გრძელდებოდეს. ეხლო კი სამ საათზე მეტია. კრება უნდა გადაიდოს.

გ. ე ე ფ ა ე ლ ი. ბმადლობთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სწორედ უნდა მოგახსენოთ, რომ მართლაც რეგლამენტი დარღვეულია, მაგრამ რეგლამენტი დაირღვა კრების დაწყებისასაც. კრება გავან დაიწყო, მაგრამ მაშინ არავინ განაცხადა (სიცილი).

ეხლო წინადადებაა შემოტანილი: კრება გადადოს. როდისთვის გნებავთ?

წ ერ ე თ ელ ი. ხვალ 1 საათზე.

რ. ა რ ს ნ ი ძ ე. ხვალ 1 საათზე არ შეიძლება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. კრება საღამოს 9 საათზე დაიწყება. ეხლა კრება დახურული გახლავთ.

ი. ბ ა ბ ა ე ლ ი ა. მოითმინეთ! მოითმინეთ! (კითხულობს).

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს.

სოციალიტ-რევოლიუციონერთა ფრაქცია გთხოვთ აუწყოთ საბჭოს წევრებს, რომ 4 კვირას, 28 ივლისს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ყოფილ საბჭოს წევრის ვლადიმერ გობეჩიას სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე.

პრესის მიმოხილვა.

„ბორბა“ მსოფლიო რმის ოთხი წლის შესრულების გამო სწერს:

„ოთხი წელია, რაც გერმანეთი ერთ სამხედრო ბანაკადაა გადაქცეული.

ოთხი წელია, რაც საფრანგეთი სისხლით იღვრება.

მხოლოდ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან კიდევ რამდენნიმე ხანი იცხოვრონ ისე, როგორც გერმანეთი სცხოვრობდა ომის პირველ ხანებში. ინგლისი ყოველგვარ მსხვერპლზე მზადაა ოღონ მსოფლიო ბატონობა შეინარჩუნოს.

ამ ბრძოლაში არაკეთილი მნიშვნელობა არა აქვს ბრძოლის ხასიათ იმ ცვლილებებთან, რომლის შესახებ ყოველდღე ვკითხულობ რადიო. გერმანელი ჯარები შესაძლოა პარიზს შეეიღნენ, მაგრამ ეს არ იქნება საფრანგეთის დამარცხების დღე.

შესაძლოა საფრანგეთი ჩამოაშორონ მებრძოლ სახელმწიფოებს, შესაძლოა (იტალიამ იარაღი დაჰკიროს, მაგრამ ამით არ გადასწყდება გერმანიისა და ინგლისს შორის მსოფლიო ბატონობისათვის ატეხილი ომი. ფინანსიურ და სამრეწველო კაპიტალიზმის მფეთა ინტერესები მოითხოვენ, რომ შეუჩერებლივ მოძრაობდნენ ომის ბორბლები. ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, სათრანგეთში, გერმანეთში—ყველგან სათავეში ომის მომხრენი სდგანან.

ქეყანა ფუსტროოსკენ მიქარბა.

ოკან სისხლის ზღვა—ფინ ფეოდიდად განუკერეტელი.

* *

„ტრუდოვოე ზნამია“ ეხება რუსეთის მდგომარეობას:

„მატად საყურადღებო ენობები მოგვდის რუსეთიდან, თითქმის მთელი ქვეყანა აუჯანყდა საბჭოთა მთავრობას.

ეოლგაზე მეიბარი და ციბერალ რუსეთის მრავალი მნიშვნელოვანი ქალაქები ლენინის მთავრობის მოწინააღმდეგეთა ხელშია. ძნელია წინასწარმეტყველება, თუ რა სახეს მიიღებს შემდეგში ის მოძრაობა. ჯერ კი იგი სწოლიად რუსეთის დამფუძნებელ კრების ლოზუნგით სწარმოიმს.

ხმები ოსტაბ მიხეილ რომანოვის გამეფების შესახებ, ოსაფუძელია.

პარიზიდან ენობები მოსდით რუსეთის გაზეთებს: აქ შესდგა ეროვნული ეროვნული ასახელებენ ზოგიერთ მინისტრებსაც. მიმარცხენე ესერების ბოლშევიკებისაგან ჩამოშორებასაც ეროვნ მნიშვნელობა აქვს.

რუსეთის ამბებმა გრანდიოზული ხასიათი მიიღეს და მალე ჩვენ გაიხდებით რუსეთის (ენტრალურ სახელმწიფოებრივ მთავრობის შეიქმნის მოწმენი“.

ჩვენ, რასაკვირველია, გვაინტერესებს რა სახეს მიიღებს რუსეთის სახელმწიფო. როგორ იქნება მისი ბედი. ამიტომ საინტერესოა ვიკოდეთ: თვით ეს მოსალოდნელი ცვლილება რა სახით აქვთ წარმოგენილი ესერებს? როგორ ჭვრნიათ მართლა ჯანსაღდება რუსეთი, თუ მოზეიზნებითია ოღის მისი გამოფხიზლების მაჩვენებელი სიმპტომები.

* *

სომეხთა სახალხო პარტიის ორგანო „მშაკ“ სწერს.

ქვეყნისა და ხალხის მართვაში ჩვენი რჩეულნი მხოლოდ მოწაფეებად ოდა ვამოდგებიან. სწავლა ეიარეხეთი არ არის, სირცხვილია მხოლოდ უნდაც მოწაფედ დარჩენა. ამის გადაწყვეტა მხოლოდ მასწავლებლის საქმეა.

მერე, ეეროპაზე ეარგ მასწავლებელს ვის ეიშიენით? საბედნიეროდ ამ ეამად აქ არის ეეროპის ერთი ძლიერი და ღირსეული წარმომადგენელი-გერმანია. თავი ვანებოთ ჩვენ თავზე დიდ წარმოდგენას და მივმართოთ მას. დე მან გვასწავლოს, თუ როგორ უნდა ვმართოთ ჩვენი ქვეყანა და ერი. იგი ამას იზამს თუ ჩვენ ეოტად თუ ბეერად ნიჭიერი მოწაფეები გამოვდგებით. მე მგონი, რომ არც სომეხი, არც ქართველი და არც თათარი იმდენად უნიჭო არ არის, რომ ბეერი რამ არ ისწავლოს მისგან. მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აუცილებელს ხდის გერმანიელების ჩვენს საქმეებში ჩარევას. ეს არის სამ რესპუბლიკის ურთიერთ შორის მეგობრობა, რომელიც ადრე თუ გვიან ამიერ-კავკასიის მთლიანობის იღეიზეზ დაეშალება. დღევანდელ პირობებში ამ სამი ერის შეერთებულ რგოლად მხოლოდ გერმანეთს შეუძლიან გახდომა.

მაშ მიემართოთ მის შუამდგომლობას. ჩვენ არ ვიცით, როგორ ესმის „მშაკს“ ეს ჩარევა ჩვენს საქმეებში, აგრეთვე არ ვიცით, რამდენად ავტორიტეტიული იქნება სომხის ერისთვის ეს აზრი. „ჯორიზონს“ ჯერ ამის შესახებ არა უთქვამს რა. „კავკაზსკოე სლოვოს“ ალბად საწინააღმდეგო არა ექნება რა, რადგან საქართველოს მიერ გერმანელ ინსტრუქტორების მოწვევას დადებითად შეხვდა. აქ ერთი რამ ცხადია: თუ საქართველოს რესპუბლიკას მშველელი ხელი ესაჭიროება, ეს მით უფრო საჭიროა არარატის რესპუბლიკისათვის, და, ალბად უნდა მოველოდეთ, რომ მოკლე ხანში ჰაიასტანის საბჭოც დასვამს და განიხილავს ინსტრუქტორების მოწვევის საკითხს. მაგრამ ვინ იქნებიან ეს ინსტრუქტორები? ენახოთ.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიური მოგავალი.

I.

მიმდინარე მომენტის ერთ-ერთ გადაუდებელი საჭიროებას შეადგენს საქართველოს ახალი გაზრდა რესპუბლიკის ფინანსიური სისტემის ძლიერი საფუძვლის შექმნა. ძლიერი ფინანსები საფუძველია სახელმწიფოს სიძლიერისა, საწინააღმდეგო ეკონომიურ განვითარებისა და სახელმწიფოს მომავალი აყვავებისა. თუ ომის საწარმოებლად საჭირო იყო ფული, ფული და კიდევ ფული, ომის სალიკვიდაციოთ, ნაციონალიზაციის ლაზარეთ და სახელმწიფო მართვა-ნაციონალიზაციის ორგანოების შესაქმნელად, კიდევ უფრო აუცილებელია იგივე ფული, ფული და ფული.

როგორ ენდა შეიძლოს ეხლა სახელმწიფო ხაზინა, როდესაც პირდაპირი გადასახადები თითქმის სრულებით არ შემოდის, ხოლო არა პირდაპირი გადასახადები თან და თან ჭარბდების ოვიის წინანდელი მნიშვნელობას. შინაური წარმოების და მოხმარების შეზღარების გამო?

მდგ[illegible] რეობა რთულდება კიდევ იმითი, რომ ამ[illegible] ოსეთის თეიდერატიული რესპუბლიკის სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაეფილ. საქართველოს მოაკლდა ნავთი, რომელიც იყო არა. მარტო ნავთიების და მამოძღვიანებელი ძალის წყარო, არამედ იყო ამავე დროს არა პირდაპირი გადასახადის საჯანაც, რაც დიდ—შემოსავალს აძლევდა სახელმწიფო ხაზინას.

მაგალითად 1914 წლის განმავლობაში როგორ ნავთის წარმოება მიმდინარეობდა ნორმალურად, აქედან ხაზინაში შემოიდა 40 მილიონი მან. საჭიროო გადასახადების ვაძლიერების შემდეგ (ომის დროს გადასახადები გაძლიერდა ორჯერ), ნავთის წარმოებიდან შემოსავალი შესაბამისად გაიზარდა. 1917 წელში ის ოდრიდა 60 მილიონ მანეთს. ამიერ კავკასის არა პირდაპირ გადასახადთა საერთო ჯამში ნავთის აქციზს ყოველთვის ეჭირა პირველი ადგილი, ის შადგენდა 80%-ს ყველა ამდაგვარ შემოსავლისას.

თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხანია აღმოჩენილი ნავთის ადგილები. ზოგიერთი მათგანი სამრეწველო მაშტაბით ეკონ ექსპლოატაციად გამოიყენეს, მაგალ., შირაქის ველში, თოქერიშეს (დიდოფლის წყარო) ახლა, თითოოროლის ნავთის სამრეწველოდან მიღების წელიწადში 20,000-ღი ფუთი ნავთი და 5,000 ფუთი დაწმენდილი ნავთი, მიიზეიავთ ამისა, აღიშერნის კუნძულზე (ბაკაში) იმდენი ნავთი ამოაქვთ და გროზდება, რომ საჭიროებაა არ თხოულობდა შიდაბრძოლ ფორო ღარბი ნავთიანი ადგილების ვაძლიერებულ ექსპლოატაციას. ეს მეორე ხარისხოვანი რაიონები საკმარისად არც კი ეყოფა შესაბამლად—გამოკლებულია: აქ ნავთს ღღეიდენ ჭებიდან პირველყოფილ საშუალებით.

ამიტომ ეხლა ძნელი საკითხელია, რამდენად საიმედო იქნება ამ მხრით მაგალითად, შირაქის ნავთიანი ადგილები. ყოველ შემთხვევაში, ნავთი, როგორც დიდი შემოსავლის წყარო რომლებედაც დამყარებული იყო ამიერ-კავკასიის გადასახადთა სისტემა, ამ ეამად დაკარგულია საქართველოს რესპუბლიკისათვის. ფინანსთა ფუნეგა უნდა შეეცადოს შეეგესოს ეს დანაკლისი და არა პირდაპირი გადასახადებისათვის აღმოაჩინოს საიმედო და ძლიერი წყაროები. საქართველოს რესპუბლიკისათვის ერთ ასეთი საგანთაგან იქნება თამბაქო.

ვ. კ—ი.

ამონაწერი საქ. დემოკრატიულ მთავრობის დადგენილებებიდან.

გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათ მილიონინან ფონდიდად 30.000 მან. კრედიტი სამინისტროს საგზაო-ხარჯებისათვის.

—

მიეცეს თბილისის ქალაქის თვითმართველობას მისგან ახლად დაწესებულ სახოლერო გადასახადის ანგარიშში 300,000 მან. უპროცენტო სესხად ათ მილიონიან ფონდიდან, რის შესაფერი კრედიტი გაეხსნას ფინანსთა სამინისტროს, რათა ეს ფული გადაეცეს ქალაქს თანდათანობით, საჭიროებისამებრ.

—

დაინიშნოს სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ დიმიდე თოფურიძე, წევრად სიმონ გურგენის-ძე მდივანი.

—

მიეცდოს გარეშე საქმეთა მინისტრს მოელაპარაკოს ოსმალეთის მთავრობას, რათა სამხედრო ტყვეები გამოგზავნილ იქნან კავკასიაში ბათომით.

—

1, დამტკიცებულ იქნეს ყველა ის. ზომები, რომელნიც საჭიროთ დაინახა მიღო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ფოთის ნავთსადგურის დათვალიერების და პირადათ მისი საქმეების გაცნობის დროს, ან რომელიც დაწერილებით აღნიშნული არიან მინისტრის წერილობით მოხსენებაში ამა 1 აგვისტოს თარიღით.

2. დაწესდეს პირდაპირი მიმოსვლა ორთქმავალ გემების ფოთის და თუაფსეს შორის, და ამ გზით, ბგრეთვე კავკავიასკენ ლტოლვილების საქართველოდან დაჩქარებით წასვლის საქმე მიეცდოს შინაგან მინისტრს.

3. მიეცდოს გარეშე საქმეთა მინისტრს გამოარკვიოს ვერმანიის დელეგაციასთან მოლაპარაკებით, თუ ვის ხარჯზე უნდა შეეკეთდეს ხოლმე დაზიანების გამო ფოთის ნავთ-სადგურში ის გემები, რომელნიც დროებით გადაეცა გერმანელებს საქართველოს გერმანიასთან დამატებითი ხელშეკრულების ძალით.

4. მიეცდოს ინსპექტორს გამოსთხოვოს გერმანიის დელეგაციას რამოდენიმე გემი ფოთიდან მდინარე ოიოხე ნაოსნობის გასამართად.

—

მიეცდოს გზათა მინისტრს მიიღოს ზომები რათა რეგიულიარიულად მიწედენილი იქმნას ტყიბულს ქვა-ნახშირის მთარიგებე საკმაო სურსათ-სანოვაგე, სახოგადოთ ამ საკითხის მოგვარება.

—

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 5697 მან. 86 კ. კრედიტი ეროვნიდან ქუთაისში სალაქო სასამართლოში გადარიცხული მომრიგებელ მოსამართლეთა შესანახად 1919 წ. 1 იანვარს.

უ ცხ ო ე თ ი.

ციმბირში.

ციმბირის პირველ მინისტრ დერბერგმა განაცხადა რომ ამ ხანად ციმბირის თავრობას ჯარის საკმაო რიცხვი და ხელმძღვანელები ჰყავს, რომლის საშუალებით შეგვიძლიან რუსეთისკენ მოძრაობა დაიწყოთ სახალხო საბჭოთა მთავრობის ბოლოს მოსალებათო.

ენგ. დენანკინი ეკენსკის შესახებ.

გაზ. „ვეჩერნაია ვრემიას „თანაშშრომლისათვის გვეცოდ დენენკინის ფოქვამს, რომ თუ კერენსკი ამ რაიონში გამოჩნდა, სადაც ეხლა მოხალისეთა რაზმებია დაბანაკებული, სამშობლოს გამცემობისა და ლაღატისათვის ჩამოხრჩობილი იქნებაო.

ზაკავ ხალხთ ანარქიაში:

ცენტრალურ სახელმწიფოებმა წინადადებით მიმართეს ესპანეთს მიიღოს შუამდგომლობა საერთაშორისო ზაკავ ჩამოგდების შესახებ.

რუსეთის მდგომარეობა:

რუსეთში 5 ივლისიდან საერთო ამბოხება დაიწყო. ყაზანი ჩეხო-სლოვაკებმა დაიკავეს. იაროსლავლში ბოლშევიკები იძულებული გახდენ ძალაუფლება სოციალისტ რევოლიუციონერებისათვის გადაეცთ. ჩრდილოეთით და ყირიმთ მურმანზე, მოკავშირეები, რომელნიც ვლეხთა უმრავლესობას ეყრდნობა, პეტროგრადისკენ მიიწევენ. სომპირსკში, ეორონეეში, ულუეიგაში და ეურსკში დიდი მღელვარებაა ბოლშევიკებთან ბრძოლის ნიადაგზე.

მდგომარეობა ბულგარეთში

ბულგარეთიდან იუწყებიან, რომ იქ მოსალოდნელია დიდი ჯანყი, ვერმანელების მიერ ხალხისთვის მომარგებულ სურსათის რეკვიზიციის გამო. ვერმანულ მთავრობის განკარგულებით ბულგარეთისკენ დასაძრეს ნემეცური ჯარი აჯანყებულთა დასაწყნარებლათ.

მონარქიული მოძრაობა საფრანგეთში.

გაზ. „ჰუმანიტეს“ მონარქიულ პარტიის პროკლამაციის შემდეგი ტექსტი მოჰყავს, რომლის აფარებელი ფურცლები საფრანგეთის ჯარის ფრონტზე ვრცელდება:„ ვალად გრაცხ ჩემს თავს ყოველნაირ რესპუბლიკანურ წესწყობილებას ვებრძოლო. საფრანგეთში რესპუბლიკა ნიშნავს უცხოქვეყნელთა ბატონობას. რესპუბლიკანურ სულს დეზორგანიზაცია შეაქს ეროვნულ თავდაცვის საქმეში და ხელს უწყობს კატოლიკეზების მტრების მიმდინარეობას. საფრანგეთს უნდა დაუბრუნოთ ის რეჟიმი, რომელიც მას შეეფერება. ერთად-ერთი ჩვენი მომავალი მონარქია—ოლეანის ჰერცოგის ხელმძღვანელობით,მხოლოდ მონარქია ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე და იფარავს ძალადობისაგან. მონარქია იცავს სახელმწიფოს ავტორიტეტს, მის კეთილდღეობას და პატიოსან სახელს. ვფიცავ, რომ ხელს შეეწყობ მონარქიის აღდგენის საქმეს და ვემსახურები ყოველნაირად. „ჰუმანიტე“ თხოულობს ამ საქმის დაუყოვნებლივ გამოძიებას.

სტამბოლში.

საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების საამბავდობო დელეგაციები თურმე მისვლისას, ნავთსადგურზე მიუღია ათორწი ყოფილ ოსმალეთის ელჩს მუხთარ-ბეის.

დელეგაციებისათვის ორი სადგომი მიუჩენიათ. ქართველებისთვის სასტუმრო „პერა-პალას“, სომხებისთვის-„ტოკტალინა“. პირველი ორი კვირე მინისტრებთან და ელჩებთან ოფიციალურ დარბაზობას და ნადიმებს მოაწყობენ. საერთოდ დელეგაციებისადმი დამოკიდებულება ბევრად უკეთესია, ვიდრე ბათომში იყო. რაც შეეხება სტამბოლის მოქალაქეობრივ ცხოვრებას მეტად მშვიდად და დალაგებით მიმდინარეობს. სასურსათო კრიზისი სრულიად არ ემჩნევა. ქალაქში ზედმიწევნითი წესიერებაა; ძალიან ემჩნევა გერმანულისა და ავსტრიელი ჯარების გაელვნენ. სულთანის სიკვდილმა და დასაფლავებამ თითქმის უმნიშვნელოთ ჩაიარა. ახალი სულთანი მაჰმუდ VI-ე შედარებით მოხუცი არ არის 53 წლისაა, ძალიან აქტიური მონაწილეობას იღებს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

ვ. ჩერნოვის მოძრაობა.

გაზეთი „რუსეკი ბოლოს“ იუწყება, რომ ვ. ჩერნოვმა გლეხთა რაზმებით სეოპუხოვი დაიკავა და აღვას უელის პოდოლსკს.

ატმოსფერიული დაბრკოლებების გამო, ზღვა დეპეშათა საგენტოს რადიოდეპეშები არ მიუღია.

ახალი ამბები.

◆ თერგას ოლქში 24 ივლის გაურეკიათ 1200 სული ოთხუთი საქონელი. თხოულობენ მთავრობისგან დახმარებას.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშადება კანონ-პროექტი საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღების შესახებ.

◆ ს. ქვემო ნიჩბისადან იტყობინებიან რომ იქ ამ ჟამად ხოლერიან ავად აღმოჩნდა 10 კაცი. მიღებულია ზომები ხოლერის გაერცელების საწინააღმდეგოდ. საჭიროა სანიტარული რაზმის გამოგზავნა.

◆ კეირას. პეტროვის შესახვევში № 16 თავს დაესხნენ მელიქ-ნაზაროვს და წაართვეს 10 ათასი მან. და რევოლვერი ნაგანისა.

◆ მთავრობამ მოისმინა ფოთიდან დაბრუნებულ ფინანსთა მინისტრის მ. დ. ყურულის მოხსენება. მოხსენება მოიწონებული იქნა. მიღებულია ზომები, რათა აღდგენილ იქნას გემების მიმოსვლა ფოთსა და თუაფსეს შუა.

◆ თბ. ქალაქის გამგეობამ აცნობა გაზეთებს სამინისტროს რომ სომხეთ და აღერბეიჯანის ეროვნულ საბჭოების წინაშე თბ. პოლიტეხნიკუმის ხარჯების გამოღების შესახებ მან შუამდგომლობა აღრძა.

◆ აფხაზთა მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა თამბაქოს გაზიდვას აფხაზეთიდან ნებადართოს 20 ათას მანეთამდის ბაკეთ. ამ ოპერაციის მოხდენის შემდეგ მოხსენება წარუდგინოს საქართველოს მთავრობას და ეს დადგენილება ეცნობოს აფხაზეთის საერობო საბჭოს.

◆ თამბაქოს საზღვარგარეთ გაზიდვის შესახებ საკითხი მთავრობამ დაადგინა გადაეცეს საგანგებო კომისიას., სადაც შეეკენ წარმომადგენელნი უცხოეთის ფინანსთა საეკონომო სამინისტროს და სახელმწიფო კანტროლისა ფინანსთა მინისტრის თავჯდომარეობით.

◆ ქართველ მხატვართა საზოგადოებამ იყიდა მხატვარ გუდიაშვილისგან ორი სურათი: „შერანი“ და „პირიმზე“ მომავალი გალერეის საკოლექციოთ.

◆ ინე. ჯ. გ. მამრაძე დანიშნულ იქმნა წყალთა უწყების ინსპექტორად.

◆ ქ. ლანჩხუთიდან იტყობინებიან რომ იქ უკანასკნელ ხანებში უმეწეარალეს წერტილამდე ასულა სურსათის ნაკლებობა. ადგილობრივ სიმინდი სრულიად არ იშოვნება და თუ აღმოჩნდა სადმე ფუთი 100—120 მან. იყიდება.

◆ ეროვნულ საბჭოს წევრი მ. ანჯაფარიძე სოც.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარეს ი. წერეთელს სოხუმიდან ატყობინებს, რომ ნაციონალიზაციის გავრცელება 1 აგვისტოდან აქ ჯერჯერობით შეუძლებელიაო.

◆ „უკანასკნელ დღეს ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებიდან ქალაქის საავადყოფოში მოიყვანეს 6 ხოლერიანი და 4 ხოლერის ნიშნებით. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 3. მარჩა 3. გარდაიცვალა 7. 1 აგვისტოსთვის სულ იყო 152 ხოლერიანი და 17 ხოლერის ნიშნებიანი.

◆ აფრაზეთის საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნა პოლკ. რ. ხოტუა.

◆ მიწაფლმოქმედების სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მუშტაიდის და ალეკსანდრეს ბაღების სახელმწიფოდან ქალაქის თვითმართველობის განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

◆ რადგანაც პურის თავისუფალი ვაჭრობა გამოცხადდა, ქალაქის სამმართველო ეზანვის თავის აგენტებს მოსავლიან რაიონები პურის საყიდლად.

◆ 7 აგვისტოს გაიხსნა კურსები საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთათვის. განათლების მინისტრი ლასხიშვილი და პროფესორი ივანე ჯავახიშვილი მიესალმნენ კურსების მსმენელებს და უსურვეს მათ ნაყოფიერი მუშაობა. ჩამოსულ მასწავლებელთა რიცხვი სულ 100. მსმენელთათვის ბინა არის სამხედრო გიმნაზიაში ხსენებულ კურსებისთვის მთავრობამ გადასცა 250,000 მან. კურსები ორთვიანია.

◆ ჟიათურაში გაეგზავნა კომისია, შემდგარი ფინანსთა დ გზათა სამინისტროების წარმომადგენლებისაგან. კომისია მონაწილეობას მიიღებს შავი ქვის მრეწველთა კრებაზე, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი ჟიათურის გზით შავი ქვის გადატანის ტარიფის გადიდების შესახებ.

◆ ქუთაისში გაემგზავრა სურსათის საქმეთა მინისტრის ამხანაგი საბაშვილი, ადგილობრივ სურსათის საქმის გამოსარკვევად.

◆ სანაინის უფროსი იტყობინება, იქ თავი მოიყარესსმალეთისტყვიმიდადაბარენებულმა მოსამსახურებმა, (მოწყალე დები, ექიმები, სამხედრო მოხელეები და ოჯახის გაჟის მოსამსახურეები) რომელთაც ითავეთარი საარსებო სახსარი არ მოეპოვებათ. გზათა მინისტრის განკარგულებაში, ისინი ჩამოყვანილი იქნებიან თფილისში უფასოდ.

◆ ბათომის ყოფილი ქალაქის თავი კ. საბახტარიშვილე შინაგან საქმეთა მინისტრის მეორე ამხანაგად დანიშნა.

◆ მილიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად ქალაქის გამგეობამ დანიშნა აპოლონ ურუშაძე, ყოფილ პეტროგრადის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.

◆ მკლელობა. 31 აგვისტოს ჩერქეზიშვილის ქეჩაზე უცნობ პირებმა სამი ტყვეით მოჰკლეს ოფიციანტი ქართულ კლუბისა ჭიჭიკო რუხაძე.

◆ სახელმწიფო თეატრის კომისრის ა. ა. წულუნაგას ინიციატორობით შემდგარმა სახელოვნო კომისიამ მოისმინა კომპოზიტორ დ. ე. არაყიშვილის ქართული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ეიურიში შედიოდნენ დირიჟტორი კოსეფერაბორიოლი ნიკოლაევი, ანტოიპარენიორი სახელმწიფო თეატრისა პოოფეს. ლეონიკი, დირიჟორები ამავე თეატრისა სტოლერმანი და გეასი, მხატვრები ნიკოლაძე ზალიკანი და მრავალი საზოგადო მოღვაწე, დამსწრეთ ულდასმით მოისმინეს მთელი ოპერა. ეიურ[illegible] დაადგინა ღირს იქნას ცნობილად ამ ოპერის დადგმისა სეეზონზე. ოპერა ამ სეზონშივე დაიდგმის სახელმწიფო თეატრში.

სოფლთა ცხოვრებიდან

ამ დღეებში სტამბოლიდან ჩამოვიდა სტამბოლის კონფერენციის წევრი რომელთაც სხვათა შორის შემდეგი გადასცა „ორიზონის“ რედაქციას:

ოსმალეთთან კარგი განწყობილება იმედს იძლეს, რომ სტამბოლის კონფერენციი კეთილად დამთავრდება. თითონვე ოსმალეთი ერძნობენ, ბათომის საზაო ხელშეკრულება ხლდგეს დამოუკიდებელი სომხეთის უფლებებს.

ოსმალეთი ნებას არ მისცემს სომხეთს, მის ახლოს დამოუკიდებლად იარსებოს; სომხეთი ან უნდა შეუერთდეს აღერბეიჯანს, ან და დარჩეს თავისუფლად თავის ეიწერო საზღვრებში (ერევნის გუბერნია) იქნება მუდამ ნეიტრალური, ეყოლება, თაკუთარი ჯარი შინაური წესრიგი დასამყარებლად.

სომხეთის საზღვრების დაცვას გარეშე მტრებისაგან იკისრებს ოსმალეთი, სომხის დელეგაციას ურთიერთობა არ აქვს სტამბოლის სომხობასთან. ამგვარად სტამბოლში გამოდის პატარა ფორმატის ოთხი სომხური გაზეთი, ეს გაზეთები ძალიან შეეფროვნებულ პირობებში გამოდიან. სომხეთის დეკნის გამო ვაჭრობა სომხეთის ხელიდან ბერძნების ხელშია გადასული.

პორესპოდენცია

ქ. თ ე ლ ა ვ ი. წელს თელავი განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება, არც ერთ წელს იმდენი მოაგარაკენი არ მოსულან, როგორც ამ ზაფხულს. ალბათ გაიგეს, რომ აქეთ სიწყნარეა და შედარებით თბილისთან შეიძლება იფი ცხოვრებაც და ყველა აქეთ მოიტანეს. სამწუხაროდ მოაგარაკეთაგან ბევრი ისე ცხოვრებით არა კმაყოფილდება, დაიწყეს ჩარეჩობა, გაბმეს ვაჭრული ქსელები ყველგან და სანოვაგის გატანა. ამ გარემოებამ საშინლად ასწია ყველა სანოვაგის ფასი, რამაც ზედ გავლენა იქონია მკვიდრ მეხოვრებლებზე.

ამას გარდა, რაგანაც მოაგარაკეთა მოსვლა გაძლიერებული ტემპით გრძელდება, ამიტომ საშინი ბანდა ხოლერის მხრივ, რომელიც შესაძლებელებელია ადვილად შემოიტანონ.

ამის შესახებ მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო და გარეშეთაც მიეცათ სათათბირო ხმის უფლება. სამწუხაროდ ამბავი ეროვნულ ხასიათს ვერ ასცდა და მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ბოლოს ხმის უმრავლესობით დაადგინეს: თელავში მოაგარაკეთა შემოსვლა დაუყონებლივ აიკრძალოს, რაც შეეხება უკვე მოსულებს, ვისაც რაიმე კვაზირი არა აქვს თელავთან, წინადადება მიეცეთ ერთი კვირის განმავლობაში დასტოვონ ქალაქი.

თელავის ქუჩებში გამოკრულია მთავარ მინისტრის ცირკულიარი ხარჯების იძულებითი აკრეფის შესახებ. როგორც გადმოცეს ქალაქის კასაში სრულებით ხარჯები არ შედის; სოფლადაც ასეა, მაგრამ თუ შეუნეტელ სოფლის ხალხს ასე თუ ისე ეპატიებათ ხარჯების შეუტანლობა, ვინაიდან იგი ჩვეულებრივ მიჩვეულია ძალით გარდახდას, ; სრულებით არ შეეფერება ასე თუ ისე შეგნებულ მოქალაქეთ ყურის წაგდება. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ მთავრობის განკარგულება შესაფერ ზედგაფლნას იქონიებს და საჭირო ალარ იქნება სხვა ზომების მიღება.

24 მკათათვეს დასრულდა ალაკერდის საეპარქიო კრება, რომელზედაც, სხვათა შორის დაყენებული იყო თელავის სასულიერო სასწავლებლის და ვაჟთა გიმნაზიის შეერთების საკითხი. კრებამ ეს შეუძლებლადა სცნო, მხოლოდ და-ადგინა სასულიერო სასწავლებელი გადაკეთდეს გიმნაზიათ, სასწავლებლის შენობაში როგორც სამოგზელოების საკუთრებაში დაეთმოსნინა ალაკერდის ეპისკოპოზს, რაც შეეხება მასწავლებლებს მარკოზაშვილს და ელლაშვილს, რომელთაც სამოგზელოების უნებართოთ დაიკავეს საცხოვრებლათ სკოლის ოთახები, წინადადება მიეცეთ დაფუყონებლივ გაანთავისუფლონ სასწავლებლის შენობა.

დონ.

ქ. ჟ ი ა თ ი ს ა“ რაიონის კომისარიატის პრეზიდუმის, მეუმთა დეკ. საბჭოსი და მაზრის კომისართან შეთანახმებით გადაყენებული იქნა რაიონის კომისარი მირიან ჯანშეიერა მანამდე, სანამ არ გაიმართლებს თავს გურიაში მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებიდან. ჯანშეიერის თანამდებობის ასრულება მიენდო ამავე რაიონის ქ. საქმის მუპარმოგელს თომა ჩიქვილაძეს.

ადგილობრივ ქალთა წრის ინიციატივით მოაგროვეს ფული და სანოვაგე საჩხერის რაიონში მოქმედ ჯარის კაცებს სასარგებლოთ. რომელ ჯარის კაცებმ ეი სახ. გვარდიელები დაუფალავთ და თავგანწირულთან ებრძვიან ყაზარა ბრბოს. მოგროვილი სანოვაგე გადაეცა სად.საჩხერეში სურსათის განწ. გამგეს ჯარის და გვარდიელებისთვის გასაგზავნად.

მოიხ. სახ. „ჩ ვ ე ნ მ ა ო ჯ ა ხ“ უკვე ამბობენ ერთი ფურნე და შეუდგა ქადის ცხობას, რამაც დასწია ბაზარში ქადის ფასი საგრძნობლად.

ვ. ეკეკანი.

ბ ა ნ ც ხ ა ნ ე ბ ე ბ ი

თურქესტანის საპაორის ბატალონის დაკარგული მაერის ბარათი № 53981, მიღებული სახელმწიფოს ბანკის თბილისის კანტორისაგან 1917 წ. 5% თავისუფლების სესხის ქალაქდებით 32050 მანეთისა გთხოვთ ჩასთვალოთ გაბათილებულათ. (3—1).

თბილისის სამოქალაქო მილიციის უფროსი აცხადებს: „თბილისში მცხოვრებ ადამ სტეფანინს ძე ტომაშუნსამა განაცხადა, რომ მას დაეკარგა 1) პიროვნების მოწმობა ავგასტოს ლატვიელთა სოფლის საბჭოს მიერ მიცემული 1918 წ. 16 თებერვალს 383 ნომრით, 2) სამბოლოოდ წესასულელი მოწმობა № 937. მიღებული 5 ივლისს 1918 წ., 3) გერმანიის საკონსულოს მოწმობა № 486 20 ივლის 1918 წ. მიღებული და 4) უვადო პასპორტი ალექსანდროპოლის სამაზრო პოლ. მიღებული № 160 1907 წ. 1 დეკემბერი. ნებაყელი ვალდებულია ეს მოწმობები წარმოადგინოს სამილიციო მართველობაში.

(3—2)

დაკარგე ქალ. არდაგანის ეკონომიის დროინ თბილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკის მიერ მოცემული შაერის მიღების ხელწერილი 4.000 მან. ობლიგაციები № 49949. შუმანიკა გიორგის ასული ვართანიანცი.

(3—2)

სისხლის სამართლის 846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ქ. თფილისის მესაბე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის განმარტებით ეძებენ გარეგინ ხარატურიანს გაბზიანეს, რომელსაც ბრალი ედება სასჯელით წესდების 164 მუხ. ძალით. დანაშაველ ნიშნები სასამართლომ არ იცის. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს დამნაშავე, ვალდებულია აცნობოს მომრიგებელ მოსამართლეს. დაწესებული ადამი და კერძო პირნი, რომელთა განკარგულებაში არის დამნაშავის ქონება, ვალდებული არიან გადასცენ ის საამაკუნო სამართველოს.

სისხლის სამართლის 846, 844, 848, და 851; მუხლ. ძალით თფილისის საოლქო სასამართლოს განმარტებით ეძებენ სოფ. კოსნინეს (ზათის მაზრა, ტამბოვის გუბერნია) მცხოვრებ მართა იაგორის ასულ ზენმუხოვას, რომელიც ცხოვრობდა ქ. თფილისში. ზენმუხოვას ნიშნები არ იცოან. ყველა ვინც იცის სად ცხოვრობს ზენმუხოვა, ვალდებულია განაცხადოს სასამართლოში. დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელს თანაც ამოჩნდება ზენმუხოვას ქონება, ვალდებული არიან გადასცენ საამეკუნო სასამართლოს. 29 ივლისი 1918 წ.

სისხლის სამართლის 846, 847, 848, 851 მუხ. ძალით თფილისის საოლქო სასამართლოს განკარგულებით ეძებენ ქ. თფილისის მცხოვრებს ლუკა დიონოსის ძე კანეცდალოვს, რომელსაც ბრალი ედება კანონთა დებულების 13, 36. 1655, 5 პ. 1659 და 3 პ. ძალით. დანაშა